სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 1 მარტი, 2016 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ან ენდა ჰკვეფს ღიერანდელს, თუ კაცს პროგტესი, ბინსელა ადამიანისა თუნ სიცოცხლ ან მიარსია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2016 წლის 29 იანვარს მოისმინა საკითხი "საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის 2015 წლის ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის სამეცნიერო პროგრამები

1. "აგრონომიული დარგის ეფექტიანობის ამაღლება შესაბამისი კვლევითი რეფორმების განხორციელების საფუძველზე";
2. "მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ახალი პროგრესული ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება და დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის";
3. "სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის რესურსდამზოგი, ეკოლოგიურად გამართლებული სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება და დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში";
4. "ადგილობრივი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავება კვების პროდუქტების უსაფრთხო გამოყენების მიზნით".
5. "შესაბამისი რეფორმების განხორციელებისა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერული უზრუნველყოფა";

ზემოთ აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებულია:

- "ხორბლის, სიმინდის, აგრეთვე სხვა მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები";
- "მევენახეობის და მეხილეობის განვითარებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავება და გამოყენება საქართველოში".
- "ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-განვითარების გზები";
- ბუნებრივი და ხელოვნური ტყის ეკოსისტემის შესწავლა და მისი გავლენა ნიადაგის ძირითადი თვისებების დინამიკაზე და კლიმატის ფორმირებაზე.
- სუბტროპიკული კულტურების განოყიერების

საფუძველზე დიფერენცირებული სისტემების დამუშავება;

• მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა – როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების მნიშვნელოვანი ღონისძიება;

• "სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური ადგილობრივი ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია და კონსერვაცია".

• "რძის ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ძირითადი ღონისძიებების დამუშავება".

• "ვეტერინარული სამსახურის განვითარების ფუნდამენტალური ღონისძიებების დამუშავება საქართველოში."

• "მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რესურსდამზოგი ტექნოლოგიები და მანქანათა სისტემები";

• "ყურძნის, ხეხილის, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება და მათი რაციონალური გამოყენება;

• "სურსათის უვნებლობის საკითხების შესწავლა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწონებით";

• "ცხიმზეთების წარმოების ტექნოლოგიების გადამუშავების ტექნოლოგიები და წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში".

• "საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებების სისტემის შემუშავება".

• "სოფლად კოოპერაციის პროცესების სტიმულირებისა და განვითარების ღონისძიებების დამუშავება".

აკადემიურმა საბჭომ 2015 წელს ჩაატარა 15 სხდომა და განიხილა 40 საკვანძო საკითხი.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები:

- აგრონომიული – 11 სხდომა;
- მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების – 11 სხდომა;
- აგროინჟინერიის – 10 სხდომა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების – 11 სხდომა;
- სურსათის უვნებლობის – 3 სხდომა;
- ეკონომიკის – 8 სხდომა.

აკადემიურ საბჭოში განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა

აკადემიურ საბჭოს მიერ 2015 წელს კვარტლების მიხედვით განხილულია შემდეგი საკითხები:

1. აკადემიური საბჭოს 2015 წლის სამუშაო გეგმების განხილვა-დამტკიცება (აკად. გ. ჯაფარიძე);

2. სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების ანგარიშები;

3. აკადემიის მიერ დამუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020.

4. აკადემიაში დამუშავებული აგრარული მიმართულების საკითხების განხილვა (გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ნ. ქარქაშაძე, ნ. ჭითანავა, თ. კუნჭულია, ო. ქეშელაშვილი, ნ. ბაღათურია, რ. მახარობლიძე, ჯ. ონიანი, თ. ყურაშვილი, ზ. ცქიტიშვილი, ე. შაფაქიძე, გ. ნიკოლეიშვილი, ჯ. კაციტაძე, ა. ვაშაკიძე, გ. გაგოშიძე, ა. გიორგაძე და სხვა);

5. ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტის, ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის და გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშები (რ. კოპალიანი, რ. ჯაბნიძე, ვ. სუხიშვილი);

6. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებები მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

❖ 2015 წლის 27 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრების დღის წესრიგი:

• საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ (მომხს. აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე);

• აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აკადემიკოს-მდივნები: აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, ზ. ცქიტიშვილი, რ. მახარობლიძე, ნ. ბაღათურია, ო. ქეშელაშვილი);

• ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ (აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა საერთაშორისო სტრუქტურებთან

1. საერთაშორისო თანამშრომლობა უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან;

2. უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან

3. ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;

4. ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირთან;

5. აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოსთან;

6. USAID-თან სპეციალისტების კვალიფიკაციის საკითხებზე;

7. აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის სამეცნიერო სტრუქტურებთან (ზოოლოგიის და მცენარეთა გენეტიკური რესურსების ს/კ ინსტიტუტები);

8. კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან;

9. კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრთან;

10. ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერე-

ბათა აკადემიასთან;

11. ჩინეთის სატყეო აკადემიასთან არსებულ ტყის დაცვის ინსტიტუტთან;

12. მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრთან (CIP);

13. ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, სომხეთის კვლევით ორგანიზაციებთან;

14. პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტთან;

15. საერთაშორისო ორგანიზაციებთან – CGIAR, CACAARI, ICARDA, CIMMYT, BIOVERSITY int., ICRISAT, CIAT, BACSA და სხვა.

❖ მიმდინარე წლის 2-6 ნოემბერს ქ. ვაშინგტონში (აშშ), მსოფლიო ბანკის შენობაში ჩატარდა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომა, რომელიც გაიმართა მსოფლიო ბანკის ოფისში. მასში მონაწილეობა მიიღეს ფონდის საბჭოს წევრებმა, CGIAR-ის კვლევითი ცენტრების გენერალურმა დირექტორებმა და მათი საბჭოს წევრებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

❖ ფონდის საბჭოს სხდომაში ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების (CACAARI) სახელით მონაწილეობა მიიღო ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც თავის გამოსვლებში მრავალი საინტერესო მოსაზრება და წინადადებები წარადგინა, რომლებშიც გამოკვეთილი იყო სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ინტერესები.

ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფორუმი აშშ-ში

2015 წლის 8-9 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია მონაწილეობდა ნიუ-იორკში გამართულ ფორუმში, რომელიც მიეძღვნა ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საქმეში. აკად. ნ. ბაღათურიას ჰქონდა საქმიანი შეხვედრები, სადაც უცხოელ სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს საექსპორტო პოტენციალს და მისი ამოქმედების ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ამერიკელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ქართული თხილის ზეთის ნიმუშებმა. გამოითქვა მზადყოფნა, რომ გაგრძელდეს ერთობლივი მუშაობა ამერიკის ბაზარზე ქართული თხილის ზეთის ექსპორტის განხორციელების მიზნით.

2015 წელს გაფორმდა მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან;
2. უკრაინის (ქ.კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან;
3. ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;
4. კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნულ ცენტრთან;
5. შპს „აგრორემმანქანა“-სთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და ვინიცის ნაციონალურმა აგრარულმა უნივერსიტეტმა (უკრაინა) 2015 წლის 22 აპრილს ხელშეკრულების საფუძველზე დააფუძნეს ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალი "აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგია", სადაც შესაძლებელია სამეცნიერო სტატიების დაბეჭდვა უკრაინულ, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 2015 წლის ნოემბერში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2015 წელს ჩატარებული ღონისძიებები

1. შეიქმნა ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი;
2. შეხვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან;
3. ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია “ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში” (2015 წლის 13 მარტი);
4. გასვლითი სემინარი თემაზე: “საქართველოში მეფრინველეობის განვითარების პერსპექტივები” - კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკა (2015 წლის 20 მარტი);
5. მრგვალი მაგიდა თემაზე “საქართველოს მეთევზეობაში არსებული პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები” (2015 წლის 3 აპრილი);
6. მრგვალი მაგიდა - აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (2015 წლის 13 მაისი);
7. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა” (2015 წლის 20 მაისი);
8. საერთაშორისო სემინარი თემაზე: “მარცვლეული კულტურების წარმოების პერსპექტივები”; შპს “ლომთაგორა (2015 წლის 28 მაისი);
9. მრგვალი მაგიდა ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად "აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ“ (2015 წლის 23 ივნისი);
10. მრგვალი მაგიდა საქართველოში ქარსაფარი ზოლების შესახებ (2015 წლის 24 ივნისი);
11. მრგვალი მაგიდა რეგიონებში აგროსაინჟინრო სფეროს მდგომარეობის შესახებ (2015 წლის 29 ივნისი);
12. მრგვალი მაგიდა: “სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ” (2015 წლის 14 ივლისი);
13. გამსვლელი სემინარი წილკანში (2015 წლის 15 ივლისი);
14. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონ გელა სამხარაულთან შეხვედრა (2015

წლის 09 სექტემბერი);

15. მრგვალი მაგიდა რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ (29 სექტემბერი, 2015 წ);

16. მრგვალი მაგიდა "სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები" (2015 წლის 28 ოქტომბერი);

17. სამეცნიერო სემინარი "აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში." (2015 წლის 29 ოქტომბერი);

18. მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული, საქართველო 2015.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები

❖ 2015 წლის 13 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები". კონფერენცია მიეძღვნა თბილისში მიმდინარე "ინოვაციებისა და მეცნიერების საერთაშორისო კვირეულს – საქართველო 2015" (2015 წლის 10-17 ნოემბერი), რომელიც ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით და მხარდაჭერით.

❖ აკადემიაში ჩატარდა გაეროს მიერ გამოცხადებული ნიადაგების საერთაშორისო წლის ფარგლებში ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია "ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში" (2015 წლის 04 დეკემბერი).

შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ჩატრდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" (2015 წლის 4,5,6 ნოემბერი).

❖ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბელარუსიის, პოლონეთის, უკრაინის, იტალიის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ ოსეთის გამოჩენილმა მეცნიერებმა, აგრეთვე საქართველოს აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერებმა, მაგისტრებმა, დოქტორანტებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, სულ 160 მეცნიერმა, მათ შორის 25 მეცნიერი- საზღვარგარეთიდან. კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 146 მოხსენება, მათ შორის საქართველოდან 85, რომელთა უმეტესობა მოხსენდა მსმენელებს კონფერენციის მსვლელობისას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები

აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება

(ეროვნული კოორდინატორების მიერ ჩატარებული საქმიანობა)

• 1.1. მრგვალი მაგიდა - აგროქიმიური ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში (ეროვნული კოორდინატორი აკად. გ. მარგველაშვილი);

• 1.2. მრგვალი მაგიდა - ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების აღდგენა–გაუმჯობესების ღონისძიებები (ეროვნული კოორდინატორი აკად. გ. მარგველაშვილი);

• 1.3. მრგვალი მაგიდა - სეტყვისაგან დაზიანებული ვენახების მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ (ეროვნული კოორდინატორი აკად. ნ. ჩხარტიშვილი), მონაწილეობდნენ - სააქციო საზოგადოება "დელტა" და გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერები.

• 1.4. გამსვლელი სემინარი წილკანში – სიმინდის სელექციაში მიღწეული შედეგები და მათი გამოყენების შესაძლებლობები (ეროვნული კოორდინატორი სსმმ აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანი);

• 1.5. სემინარი - აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში (ეროვნული კოორდინატორი სსმმ აკადემიის წ/კ თ. თურმანიძე);

• 1.6. მრგვალი მაგიდა – საქართველოს ქარსაფარი ზოლების შესახებ (ეროვნუკი კოორდინატორი აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. რ. ჩაგელიშვილი, პროფ. გ. გაგოშიძე).

2. **მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილება**

(ეროვნული კოორდინატორების მიერ ჩატარებული საქმიანობა)

• 2.1. მრგვალი მაგიდა - ვეტერინარიის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები (ეროვნული კოორდინატორი აკად. თ. ყურაშვილი);

• 2.2. გასვლითი სემინარი კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში - მეფრინველეობის დარგის სიახლეები, პრობლემები, განვითარების პერსპექტივები (ეროვნული კოორდინატორი აკად. ჯ.გუგუშვილი);

• 2.3. გასვლითი სემინარი მარნეულის მრპ სასამსხვილი რქოსანი პირუტყვის სასაკლაოზე - საკლაოების არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები (ეროვნული კოორდინატორი აკად. ჯ.გუშვილი);

• 2.4. მრგვალი მაგიდა – საქართველოს მეთევზეობის პრობლემები და სამომავლო პრსპექტივები (ეროვნული კოორდინატორი აკად. ჯ.გუშვილი);

3. **აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება**

(ეროვნული კოორდინატორების მიერ ჩატარებული საქმიანობა)

• 3.1. მრგვალი მაგიდა - საქართველოში მელიორაციის არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები (ეროვნული კოორდინატორი პროფ. ი. ყრუაშვილი);

• 3.2. მრგვალი მაგიდა - აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის შესახებ (ეროვნული კოორდინატორი აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ე. შაფაქიძე);

• 3.3. მრგვალი მაგიდა - საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკის შესახებ (ეროვნული კოორდინატორი აკად. ე. შაფაქიძე);

• 3.4. მრგვალი მაგიდა - რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ (ეროვნული კოორდინატორი აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ე. შაფაქიძე);

3.5. სემინარი - საქართველოს აგროსაინჟინრო დარგის პრობლემები და მათი გადაჭრის თეორიული და პრაქტიკული ხედვები (ეროვნული კოორდინატორი აკად. რ. მახარობლიძე).

3.6. მრგვალი მაგიდა – აგროსაინჟინრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ეროვნული კოორდინატორი აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ე. შაფაქიძე, აკად. ა. ვაშაკიძე, დოქტ. ი. ყრუაშვილი);

3.7. მრგვალი მაგიდა – აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები (დარგობრივი ეროვნული კოორედინატორები);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ 2015 წელს სულ მომზადებული და გამოცემულია:

- სამეცნიერო ნაშრომი - 219, მათ შორის სახელმძღვანელო - 3 , მონოგრაფია – 6,
- მიღებულია გამოგონება, პატენტი – 5.

• საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ 2015 წელს რეკომენდებული და გამოცემულია ნაშრომები:

• 1. "საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება" (კატალოგი) –ავტორთა ჯგუფი, ხელმძღვანელი აკად. გ. ალექსიძე, თბილისი, 2015;

• 2. "სკრის ხეობისა და მეხილეობის საცდელი სადგურის ისტორია" - ავტორები აკად. გ. ბადრიშვილი, ნ. ბირკაია. თბილისი, 2015;

• 3. "სიმინდი საქართველოში" - ავტორები აკად. პ. ნასყიდაშვილი და აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანი, თბილისი, 2015;

• 4. "სიმინდის ახალი ქართული ჰიბრიდების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია" (მეთოდური სახელმძღვანელო) - ავტორები აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანი და სხვა. თბილისი, 2015;

• 5. "მარცვლოვანი და სამარცვლე პარკოსანი, ბოსტნეული, კარტოფილის საკვები ბალახების მეთესლეობა საქართველოში" (სახელმძღვანელო) - ავტორები აკად. პ. ნასყიდაშვილი, აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანი, თბილისი, 2015;

• 6. "სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზი" - ავტორები აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, თბილისი, 2015;

• 7. შრომათა კრებული-სამეცნიერო კონფერენციის მასალები "საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები", თბილისი, 13 ნოემბერი, 2015;

• 8. შრომათა კრებული-სამეცნიერო კონფერენციის მასალები "ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში", თბილისი, 04 დეკემბერი, 2015;

• 9. შრომათა კრებული-საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება:, თბილისი, 04-06 ნოემბერი, 2015;

• 10. "საქართველოს მეაბრეშუმეობა – პრობლემები, რეაბილიტაცია, აღორძინება" (მონოგრაფია), ავტორებო სსმმ აკადემიის წ/კ გ. ნიკოლეიშვილი, აკად. ე.შაფაქიძე, თბილისი, 2015, 260 გვ.

2015 წელს აკადემიის მიერ მომზადებულია და გამოცემულია 39 რეკომენდაცია ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებისათვის, მევენახეობაში, მეციტრუსეობაში, მეცხოველეობაში, მეაბრეშუმეობაში, მეფუტკრეობაში, აგროინჟინერიასა და სხვა დარგებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ფუნქციონირებს "აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი" (ხელმძღვანელი აკად. გ. ალექსიძე), სადაც 2015 წელს შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. გამოცემულია კატალოგი "საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება", თბილისი, 2015, 235 გვ (კატალოგი გამოცემულია შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით);
2. მომზადებულია გამოსაცემად "ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები" (ავტორთა ჯგუფი, ხელმძღვანელი აკად. გ. ალექსიძე);
3. მომზადებულია გამოსაცემად "ვენახის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები" (ავტორთა ჯგუფი, ხელმძღვანელი აკად. გ. ალექსიძე);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების 2015 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში

2016 წლის 29 იანვარს აკადემიის აკდემიურმა საბჭომ მოისმინა მოხსენებები ადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2015 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმების შესახებ; **მომხსენებლები: აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნი-**

ერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი; დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 16 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 14 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2.

აკადემიკოსები: ალექსიძე გურამი, ვასაძე იუზა, მარგველაშვილი გოგოლა, ქევხიშვილი ვლადიმერი (გარდაიცვალა აგვისტოში), ჩაგელიშვილი რევაზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი, ბადრიშვილი გივი, კვალიაშვილი ვაჟა, ონიანი ჯუმბერი, ცაგურიშვილი გივი, ჯაბნიძე რეზო, ურუშაძე თენგიზი (საპატიო აკადემიკოსი).

წევრ-კორესპონდენტები: თურმანიძე თამაზი, ლიპარტელიანი ოთარი.

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 15 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: **1.** აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე**; 2. აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე**; 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის - აგრარულ სფეროში აგრონომიულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერის გამოსავლენი საკონკურსო კომისიის დასკვნის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი გოგოლა მარგველაშვილი.**

მეორე სხდომა ჩატარდა 18 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; **2.** აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; **3.** სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის სამუშაო პროგრამის შესახებ; **მომხსენებელი: აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი.**

მესამე სხდომა ჩატარდა 26 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ; **მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული მიმართულების ეროვნული კოორდინატორები. 2.** იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების აკლიმატიზაციისა და პროდუქტიულობის შესახებ; **მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეზო ჯაბნიძე. 3.** აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; **4.** აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 16 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს გივი ცაგურიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 20 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. **აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2.** ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.** 3. მიწათმოქმედების სისტემათა განვითარების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.**

მეექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს (გაერთიანებული აგროსაინჟინრო განყოფილებასთან) და განხილული იქნა საკითხები: 1. მოქალაქე ვასილ ჩხიკვაძის წერილის შესახებ. **დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;** 2. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 4. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 5. აკადემიკოს გივი ბადრიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 15 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რევაზ ჯაბნიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მერვე სხდომა ჩატარდა 16 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.**საკვები კულტურე-

ბის მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებები. **მოხსენებელი: აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი. 2.** კლიმატის ცვლილებებით განპირობებული სტიქიური მოვლენების მონიტორინგის თეორიული და პრაქტიკული ხედვები. **მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე.**

მეცხრე სხდომა ჩატარდა 26 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: ნიადაგების როლი აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში. **მომხსენებელი: აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.**

მეათე სხდომა ჩატარდა 16 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რეზო ჯაბნიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რეზო ჯაბნიძის აკადემიის ნამდვილი წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ. (ფარული კენჭისყრა).

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 23 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** ვაზის ჯიშების სასელექციო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი. 2.** ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის რეგულაციისა და ახალი მიკროზონების აგროკლიმატური საზღვრების დაზუსტების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.**

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, დ. ნ. პრიანიშნიკოვის პრემიის ლაურეატის, პროფესორ **ოთარ ონიანის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **ნოდარ ჩხარტიშვილის დაბადებიდან 85-ე და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო;** თბილისის ინოვაციებისა და მეცნიერების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია: **"საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები."** გაეროს მიერ გამოცხადებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: **"ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში."**

სემინარი - **"სიმინდის სელექციაში მიღწეული შედეგები და მათი გამოყენების შესაძლებლობები."** (გასვლითი სემინარი - **მცხეთის მუნიციპალიტეტი, წილკანი); "აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში."**

მრგვალი მაგიდა – "სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ".

მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;

სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა **მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილება.** აკადემიკოს მდივნად არჩეულია აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი. აღნიშნულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი, რომელიც არჩეულია სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნად. აკადემიის წესდების შესაბამისად განყოფილებას დაემატა ახალი წევრი, აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი, რომელიც ასევე არის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების წევრი. დღეისათვის განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 წევრი, 4 აკადემიკოსი.

აკადემიკოსები: გუგუშვილი ჯემალი, ტყემალაძე გურამი, ყურაშვილი თენგიზი, ცაგურიშვილი გივი.

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 12 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2.** მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** საქართველოში მეძროხეობის განვითარების პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი**

მეორე სხდომა ჩატარდა 12 თებერვალს და განხილული იქნა საკითხი: ქვეყანაში ცხოველთა სადგომებში არსებული ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობა და მათი გაჯანსაღების გზები. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი;**

მესამე სხდომა ჩატარდა 23 მარტს და

განხილული იქნა საკითხები: აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ;
მომხსენებლები: მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორები.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 20 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის დეპარტამენტის მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბასილაძე; **თანამომხსენებლები:** სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ცისანა ქილიფთარი; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ მიტიჩაშვილი;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 13 მაისს და განხილული იქნა საკითხები: **1. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.**

მეექვსე სხდომა ჩატარდა 12 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: **1.** ცხოველთა სუფთა წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების მნიშვნელობის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.** 2. საქართველოში მეცხვარეობის განვითარების მეცნიერული ასპექტები. **მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბეღელური.**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 1 ივლისს და განხილული იქნა საკითხი: "ფრინველის გრიპის" პრევენციული ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს რისკების განყოფილების გამგე, ვეტ.მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი.**

მერვე სხდომა ჩატარდა 10 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.** 2. ინფორმაცია მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების სახელწოდების შესახებ. **მომხსენებლები: აკადემის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.** 3. მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები (ფარული კენჭისყრა).

მეცხრე სხდომა ჩატარდა 15 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** სასოფლო სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა კვებაში ბიოქიმიური კვლევების პრიორიტეტების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე. 2.** მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ ქვემო ქართლის მაგალითზე. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი** 3. თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის დოქტორი ნარგიზა ბარამიძე.**

მეათე სხდომა ჩატარდა 25 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერსპექტივების შესახებ.. **მომხსენებელი: მაგისტრი ელდარ კაშია. სოფლის მეუნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 2.** ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის არსებული მდგომარეობა და მუხურის საჯიშე მეურნეობის აღდგენის პერსპექტივები. **მომხსენებელი: დოქტორი მაია ფეიქრიშვილი, დოქტორი ალექსანდრე კორძახია. სოფლის მეუნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.**

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 22 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ. 2. ბუნებრივი საკვები სავარგულების არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი იოსებ სარჯველაძე.**

აღსანიშნავია, რომ განყოფილების აკადემიკოს მდივნის ზურაბ ცქიტიშვილის მიერ აკადემიის სახელით ინიცირებული იქნა ნორმატიული აქტი ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის რეგულაციის შესახებ. ჩატარდა ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები განყოფილების მიერ. მიმდინარე წლის 27 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოაწერა ხელი განკარგულებას, რომელშიც განისაზღვრა სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის რეგულაცია. იხილეთ განკარგულება №2567. ამ განკარგულებით განისაზღვრა: 1. მცენარეულ ცხიმში ინდუსტრიული ტრანსცხიმების დასაშვები რაოდენობა, ყოველ 100გრამ მცენარეულ ცხიმში 2გ ტრანსცხიმი; 2. აიკრძალა ამ ცხიმების გამოყენება

ბავშვთა კვებაში; 3. აუცილებელი გახდა ეტიკეტირება.

აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე;

სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 9 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 6 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2.

აკადემიკოსები: დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, მახარობლიძე რევაზი, შაფაქიძე ელგუჯა, ჭალაგანიძე შოთა.

წევრ-კორესპონდენტები: გაბუნია ნოდარი (გარდაიცვალა ოქტომბერში), სარიშვილი დავითი.

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 10 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 20 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 2. აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

მეორე სხდომა ჩატარდა 20 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს არჩილ ვაშაკიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მესამე სხდომა ჩატარდა 25 მარტს და განხილული იქნა საკითხი: **1.** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები: აგროსაინჟინრო მიმართულების ეროვნული კოორდინატორები; 2.** შპს მექანიზატორის საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე.**

მეოთხე სხდომა ჩატარდა 22 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 28 მაისს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს გაერთიანებული აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებასთან ერთად და განხილული იქნა საკითხები: 1. მოქალაქე ვასილ ჩხიკვაძის წერილის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; 2. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს იუზა ვასაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 4. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 5. აკადემიკოს გივი ბადრიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 8 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის (ქ. ვარნა, ბულგარეთი) მუშაობის შედეგების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე; თანამომხსენებელი: შპს "საქაგროსერვისის" დირექტორი გივი ქურდიანი** 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი: სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ებანოიძე.**

მერვე სხდომა ჩატარდა 29 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: მოქალაქე გელა კობაიძის მიერ წარმოდგენილი პროექტის " საქართველოში სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის წარმოების შესახებ." მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 11 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძისათვის აკადემიის ნამდვილი წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ. (ფარული კენჭისყრა).

მეათე სხდომა ჩატარდა 11 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** ინფორმაცია სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა კუნძულ ხოკაიდოზე (იაპონია).

მომხსენებელი: საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის უფროსი, ტექნიკის დოქტორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი; 2. საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებისათვის. **მომხსენებელი: არასამთავრობო ორგანიზაციის "მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა კავშირის" თავმჯდომარე, ტექნიკის დოქტორი ირაკლი დვალი.**

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მრგვალი მაგიდა: **"აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ"; "აგროსა-**

ინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის გაზრდისა და მეცნიერული უზრუნველყოფის შესახებ". "რუსთაველის ფონდის მიერ აგროსაინჟინრო დარგში დაფინანსებული საგრანტო თემების შესახებ".

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილება.

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია,

სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 3 წევრი, 3 აკადემიკოსი.

აკადემიკოსები: ბაღათურია ნუგზარი, ნანიტაშვილი თენგიზი, პაპუნიძე გურამი.

განყოფილებაში 2014 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 16 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ნუგზარ ბაღათურია; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე**. 2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ნუგზარ ბაღათურია; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე**.

მეორე სხდომა ჩატარდა 10 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ;

მომხსენებლები: აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადმუშავების მიმართულების ეროვნული კოორდინატორები.

მესამე სხდომა ჩატარდა 24 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია ვაზისა და ღვინის კანონში შესწორებების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია. 2. აკადემიკოს გურამ პაპუნიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს თენგიზ ნანიტაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2015 წლის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; 2. ციტრუსოვანთა ნაყოფების უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; 3. პურის ნატურალური დანამატების მიღებისა და გამოყენების შესახებ. **მომხსენებლები:** ტექნიკის დოქტორი ლია კოტორაშვილი; ტექნიკის დოქტორი მაკა ორმოცაძე;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 21 მაისს და განხილული იქნა საკითხი: ატმის არყის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ. **მომხსენებელი: დოქტორი ელენე კალატოზიშვილი.**

მეექვსე სხდომა ჩატარდა 9 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: ცხიმზეთების წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: **1.** ქართული ღვინის ნატურალურობის მაჩვენებლები, ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმები. **მომხსენებელი: მეცნ. დოქტ. ნანა ბეგიაშვილი. 2.** სანელებელი და არომატული მცენარეების შრობის საკითხები.

მომხსენებელი: დოქტორი ნაზი ალხანიშვილი.

მერვე სხდომა ჩატარდა 21 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: **პექტინოვანი ნივთიერებები ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებში.** მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი **ეთერი უთურაშვილი.**

მეცხრე სხდომა ჩატარდა 13 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების შესახებ. **მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი აელიტა ხოტივარი.**

მეათე სხდომა ჩატარდა 18 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ქართული შაქრის წარმოების მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია. 2.** შესწორებები კვების პროდუქტების სანიტარულ ნორმებსა და წესებში. **მომხსენებელი: დოქტორი ეთერი ედიბერიძე.**

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 24 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ. **მომხსენებელი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია.**

სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი,

სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილება შეიქმნა პრეზიდენტის ბრძანების (№01/22 24.07.2015) საფუძველზე. მასში გაერთიანდნენ აკადემიკოსები ზურაბ ცქიტიშვილი, რევაზ ასათიანი, ზაურ ჩანქსელიანი, რევაზ ჩაგელიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე. სულ 5 წევრი. ამავე დროს ისინი არიან სხვა სამეცნიერო განყოფილების წევრები, მაგრამ აკადემიის წესდება იძლევა ამის შესაძლებლობას. აღნიშნული განყოფილების შექმნა მნიშვნელოვანია რადგანაც იგი პასუხობს ევროკავშირთან დაახლოებული კანონმდებლობისა და გამოწვევების თანამედროვე მოთხოვნებს.

აკადემიკოსები: ზურაბ ცქიტიშვილი, რევაზ ასათიანი, ზაურ ჩანქსელიანი, რევაზ ჩაგელიშვილი.

წევრ-კორესპონდენტი: თამაზ თურმანიძე.

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 3 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 9 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები.

მეორე სხდომა ჩატარდა 16 ოქტომბერს და განხილული იქნა საკოთხები: 1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები. **მოხსენებელი: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.** 2. სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების დებულების განხილვა-დამტკიცება. **მოხსენებლები: სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.**

მესამე სხდომა ჩატარდა 10 დეკემბერს და განხილული იქნა საკოთხები: . "სურსათში დარიშხანის ზღვრული ოდენობის დადგენის შესახებ". **მომხსენებლები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ინგა ღვინერია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანანა ჟურული, ქიმიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დარეჯან დუღაშვილი.**

ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი,

სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 8 წევრი. მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 7 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 1.

აკადემიკოსები: ასათიანი რევაზი, კოღუაშვილი პაატა, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ქეშელაშვილი ომარი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი.

წევრ-კორესპონდენტები: ნიკოლეიშვილი გიორგი.

განყოფილებაში 2015 წელს ჩატარდა 8 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 21 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი, პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე**; 2. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიკოს მდივანი ომარ ქეშელაშვილი; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ანატოლი გიორგაძე.**

მეორე სხდომა ჩატარდა 23 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: **1.** აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; **2.** აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 29 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 2. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 3. აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 4. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოღუაშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ; 5. აკადემიის წევრკორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის ანგარიში 2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. სოციალიზაცია და ეკონომიკა. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.** 2. რა უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამერიკული გამოცდილებიდან. **მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოღუაშვილი.**

მეხუთე სხდომა ჩატარდა 15 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: **1.** ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო "სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის" შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები. **მოხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. 2.** სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი - სამეცნ. გამოყენებითი პროექტი). **მოხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.**

მეექვსე სხდომა ჩატარდა 23 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. 2.** საქართველოს

მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 19 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პაატა კოღუაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ; 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტებისათვის პაატა კოღუაშვილისა და გიორგი ნიკოლეიშვილისათვის აკადემიის ნამდვილი წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ. (ფარული კენჭისყრა).

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მრგვალი მაგიდა: "სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები"

აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობის და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ

2016 წლის 23 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა საკითხი " **აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობისა და 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ".** ***მომხსენებელი: აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.***

აღინიშნა, რომ სამეცნიერო საბჭოს 2015 წლის სამუშაო გეგმის (დამტკიცებულია 11.03.2015) მიხედვით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: 2015 წლის 20 მარტს ქვემო ქართლის რეგიონის კუმისის მეფრინველეობის კომპლექსში აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით გაიმართა სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები და დარგის სპეციალისტები; პროფ. მაია ხუციშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: "მეფრინველეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში". სემინარის დროს დათვალიერებული იქნა კუმისის მეფრინველეობის კომპლექსი, სადაც მოთავსებულია 250000 ფრთა ფრინველი. მეფრინველეობის დარგის პროდუქციული მაჩვენებლების გაზრდის მიზნით, აკადემიის საბჭოს წევრების მიერ გაწეული იქნა მეთოდური დახმარება და პრაქტიკული რჩევები. აღნიშნულ ღონისძიებებს ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს 12 წევრი და მეფრინველეობის დარგის 5 მოწვეული სპეციალისტი;

2015 წლის 3 აპრილს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა მრგვალი მაგიდა მეთევზეობის საკითხებთან დაკავშირებით. მოხსენება თემაზე – "მეთევზეობის განვითარების პერსპექტივები სატბორე მეურნეობაში" გააკეთა პროფ. როინ ბოკუჩავამ. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს 14 წევრი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, დაისახა ღონისძიებები სატბორე მეურნეობების განვითარების მიმართულებით. მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც დაბეჭდვის შემდეგ გადაეცემა სათანადო მეურნეობებს სახელმძღვანელოდ;

2015 წლის 27 ივნისს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო სესია თემაზე: "ქარსაფარი ზოლების თანამედროვე მდგომარეობა და მათი პრევენციის აუცილებლობა კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე". მომხსენებელი პროფ. გია გაგოშიძე. საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად გ. ჯაფარიძემ, წევრ-კორსპონდენტმა ე. შაფაქიძემ, დოქტორმა ა. გიორგაძემ და აკადემიური საბჭოს 15 წევრმა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მიღებული იქნა წინადადება, რათა საქართველოში ფართოდ გაიშალოს ქარსაფარი ზოლების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს და მნიშვნელოვნად გაზრდის ჩაის, სუბტროპიკული ხეების და ხემცენარეების პროდუქტიულობას;

სამეცნიერო საბჭოს ორგანიზებით და სამოქმედო პროგრამის მიხედვით 2015 წლის 30 სექტემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "ქართული მეფუტკრეობა და მისი ამოცანები". მომხსენებელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გიორგი მაძღარაშვილი. სხდომას ესწრებოდნენ და დისკუსიაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკად. ნ. ქარქაშაძე, საბჭოს წევრები, მოწვეული მეცნიერები, მეფუტკრეობის დარგის სპეციალისტები. დარგის პერსპექტივიდან და ასევე სამეცნიერო საბჭოს მიერ არსებული პრობლემების გადასაჭრელად შემუშავებული იქნა მნიშვნელოვანი წინადადებები და რეკომენდაციები, როგორიცაა: სანაშენე საქმის აღორძინება; თაფლოვანი ფლორის წარმოებისათვის სათესლე და სანერგე ნაკვეთების მოწყობა; გადამუშავებისა და შენახვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება ეკოლოგიურად უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის მიზნით; ინოვაციების დანერგვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. მომზადდა და სტამბური წესით გამოიცა რეკომენდაცია " ქართული მეფუტკრეობის აწმყო და მომავლის პერსპექტივები – ავტორი გ. მაძღარაშვილი, თბილისი, 2015.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საანგარიშო კრება

2016 წლის 11 მარტს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საანგარიშო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2015 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე;

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2015 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ.

მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები;

3. **მიმდინარე საკითხები:**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გ.ჯაფარიძე;

კრებას ესწრებოდნენ აკადემიის წევრები და მოწვეული სტუმრები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებიდან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო და გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტებიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ. მომხსენებელმა კრების მონაწილეებს გააცნო 2015 წლის აკადემიის სტრუქტურა, აკადემიის საქმიანობის სამეცნიერო პროგრამები და ამ პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, 2015 წელს აკადემიური საბჭოს მიერ განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა, აკადემიის თანამშრომლობა საერთაშორისო სტრუქტურებთან, 2015 წელს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, აკადემიის მიერ ჩატარებული ღონისძიებები (სემინარები, მრგვალი მაგიდები, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები), აკადემიის დარგობრივი ეროვნული კოორდინტორების საქმიანობა, 2015 წელს აკადემიის წევრების მიერ მომზადებული და გამოცემული ნაშრომების (სტატიები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, გამოგონებები და პატენტები) და პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების მიმოხილვა, აკადემიაში ჩამოყალიბებული აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო და ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გადამზადების კვალიფიკაციის ცენტრების საქმიანობა, აკადემიის განახლებული ინფრასტუქტურა. მოხსენების დასასრულს აკად. გ. ალექსიძემ ისაუბრა აკადემიის სამომავლო ამოცანებისა და გამოწვევების შესახებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები, აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, ჯ. გუგუშვილი, რ. მახარობლიძე, ნ. ბაღათურია, ზ. ცქიტიშვილი, ო. ქეშელაშვილი.

მოხსენებების ირგვლივ თავისი მოსაზრებები და წინადადებები გამოთქვეს მოწვეულმა სტუმრებმა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, პროფ. თ.მარსაგიშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა გ.ცოფურაშვილმა და ი. ნოზაძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. აბულაძემ, ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფ. რ. კოპალიანმა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლ. უჯმაჯურიძემ, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. ვ.სუხიშვილმა.

საერთო კრების მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2015 წლის საქმიანობა შეაფასეს დადებითად.

დღის წესრიგის მიმდინარე საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს განახლებული დებულების გამო საჭიროა ნაწილობრივი ცვლილება შევიდეს აკადემიის წესდებაში. აკად. გ. ჯაფარიძემ კრებას გააცნო წესდებაში ცვლილებების შინაარსის შესახებ..

აღნიშნულ წინადადებას აკადემიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

აკადემიის წლიურ კრებაზე აკადემიის დიპლომები და პრემია გადაეცათ 2015 წელს აგრარულ დარგში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების ავტორებს:-**აკად. თ. ურუშაძეს, დოქტორებს ა. თხელიძეს და გ. ღამბაშიძეს -** ნაშრომისათვის "საქართველოს ნიადაგები"; **აკად. გ. ტყემალაძეს** ნაშრომისათვის "ბიოქიმიის საფუძვლები"; **პროფ. ი. ყრუაშვილს** ნაშრომისათვის "ღვარცოფები და მასთან ბრძოლის მეთოდები", **აკად. ნ. ბაღათურიას** ნაშრომისათვის "ენოლოგია – ღვინის წარმოქმნა და დავარგება"; **აკად. ნ. ჭითანავას** ნაშრომისათვის "საქართველოს სოფლის მეურნეობა – ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები" და **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ქ. დადიანს** ნაშრომისათვის "გარემოს ქიმიური დამაბინძურებლების რისკის შეფასება".

აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი მიულოცა აკად. იუზა ვასაძეს, გადასცა მას სამახსოვრო დიპლომი და საერთო კრების მონაწილეების სახელით უსურვა მას ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე, ნაყოფიერი შემოქმედებითი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა.

აკადემიის პრეზიდენტი
აკად. გ. ალექსიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილე გ. ცოფურაშვილი
და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯაფარიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრების მონაწილეები

აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2016 წლის 25 მარტს მოისმინა მოხსენება აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ". მომხსენებლები: "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; რედაქტორის მოადგილე – აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენი "აკადემიის მაცნე" არის ყოველკვარტალური გაზეთი, რომელიც აშუქებს აკადემიურ საბჭოზე განხილულ საკითხებს, ასევე აკადემიის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ სემინარებს, მრგვალ მაგიდებს, კონფერენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის საკითხებს. გასულ 2015 წელს გამოვიდა გაზეთ "აკადემიის მაცნეს" 4 ნომერი. მის ფურცლებზე სულ გაშუქდა ოცამდე საკითხი, რომელიც ეხებოდა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებებს. გაზეთში აგრეთვე გამოქვეყნდა წლის განმავლობაში ჩატარებული აკადემიის საერთო კრებების (3 საერთო კრება) მასალები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება" მიერ მიღებული თბილისის დეკლარაცია. სულ 67 საკითხი. აღნიშნულ გაზეთში ასევე გაშუქდა საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

"აკადემიის მაცნეს" ფურცლებზე გაშუქებულ საკითხთა ჩამონათვალი:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიში 2014 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობის შესახებ;
- შეხვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან – მინისტრ ზაურ ფუტკარაძესთან და მინისტრის მოადგილე სულიკო ბერიძესთან;
- აკადემიკოს ოთარ ონიანის ხსოვნის საღამო;
- ინფორმაცია აგრარულ სფეროში 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მინიჭების შესახებ;
- აკადემიის წევრ-კორესპონდენტ რეზო ჯაბნიძის მოხსენება "იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების აკლიმატიზაციისა და პროდუქტიულობის შესახებ";
- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გასვლითი სემინარი კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში;
- საერთაშორისო თანამშრომლობა უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან;
- შეხვედრა ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელთან;
- მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის;
- ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. გურამ ალექსიძის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური პარტნიორობის კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს წევრად არჩევის შესახებ;
- სამეცნიერო კონფერენცია" ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში";
- ინფორმაცია ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს გაფართოებული სხდომის შესახებ;
- ინფორმაცია აკადემიის მიერ 2014 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ; აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის მოხსენება "ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ";
- ინფორმაცია აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ";
- აკადემიოს ჯუმბერ ონიანის მოხსენება "მიწათმოქმედების სისტემის განვითარების შესახებ".
- "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 ლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ";
- მრგვალი მაგიდა მეთევზეობაში; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის სტუმრად ყოფნის ამსახველი მასალები; სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;
- ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმი ქ. კიევში (უკრაინა);
- აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს მე-13 სხდომა;
- USAID-ის წარმომადგენლის საქმიანი ვიზიტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში;
- აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის 80 წლის იუბილე;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყევეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ ორგანიზებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა".
- მრგვალი მაგიდა "აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ";
- კონფერენცია "საქართველოს მდგრადი განვითარება"; საშემოდგომო ხორბლის გაუმჯობესების პროგრამა IWWIP—ს საერთაშორისო სემიანრი;
- აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას 80 წლის იუბილე;
- ინფორმაცია მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარმოდგენილი გამოფენის "ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები" შესახებ;
- ევრაზიის ქვეყნების ბიომრავალფეროვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აზერბაიჯანში;
- მრგვალი მაგიდა თემაზე: "აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ";
- შეხვედრა კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორთან;
- ჩინეთის მეცნიერები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში;
- მრგვალი მაგიდა საქართველოში ქარსაფარი ზოლების შესახებ;
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ;
- მრგვალი მაგიდა თემაზე: "სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული

დაცვის ღონისძიებების შესახებ";
- გასვლითი სემინარი წილკანში;
- უკრაინის (კიევი) ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის დელეგაცია სტუმრად აკადემიაში;
- აკადემიის სტუმრები მეკარტოფილეობის საერთაშორისო ცენტრიდან (CIP);
- აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის მოხსენება "სოციალიზაცია და ეკონომიკა";
- საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის (ქ. ვარნა, ბულგარეთი) მუშაობის შედეგების შესახებ;
- გლობალური ფორუმის მე-6 წლიური თათბირი;
- ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის შეხვედრის შესახებ;
- აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის 85 წლის იუბილე;
- ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება "სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები.";
- მრგვალი მაგიდა თემაზე "სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები";
- სამეცნიერო სემინარი "აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში";
- ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეები აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში;
- ინფორმაცია ქ. ვაშინგტონში (აშშ) სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომის შესახებ;
- მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული - საქართველო 2015;
- სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები";
- სტუმრები უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან;
- ინფორმაცია - ახალი შევსება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში;
- სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში";
- ჩინეთის ნინსიას მეტყევეობის ინსტიტუტის მცენარეთა ბიოინჟინერიის სახელმწიფო ლაბორატორიის პრეზიდენტის, პროფესორ ლი ჯიანის სტუმრობა აკადემიაში;
- ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლის აკადემიკოს რევაზ ასათიანის მოხსენება - "სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის" შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები;
- აკადემიკოს პაატა კოღუაშვილის მოხსენება "სოფლად კოოპერაციის პროცესების განვითარების შესახებ";
- აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მოხსენება "ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ";
- დისკუსია სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე.

აკადემიის ხელმძღვანელობის სურვილია გაუმჯობესდეს აკადემიის მაცნეს დიზაინი და ბეჭდვითი ხარისხი. კერძოდ, სურათები და ილუსტრაციები იყოს ფერადი. ეს შესაძლებელი იქნება თუ აკადემია შეძლებს საკუთარი მინი სტამბის ორგანიზებას, რაზედაც მიმდინარეობს მუშაობა.

მონაწილეობა საერთაშორისო ასამბლეაში

(ქ. კიგალი, რუანდა, აღმოსავლეთ აფრიკა)

2016 წლის 19-21 იანვარს რუანდის დედაქალაქ კიგალში ჩატარდა ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების პარტნიორთა ასამბლეა (TAP), რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 80-მდე წარმომადგენელმა. ძირითადი განსახილველი საკითხები იყო TAP-ის სამდივნოს მიერ მომზადებული ორი საკითხი: სამუშაო გეგმა და "ტაპიპედია" (კომპიუტერული სისტემა ტროპიკული ქვეყნების სახელმძღვანელოდ). ამავე დროს, განიხილებოდა საკითხი წინასწარ შერჩეული ქვეყნების: ჰონდურასის, გვატემალას, ლაოსის, ბანგლადეშის, ანგოლას, ბურკინაფასოს, ეთიოპიის და რუანდის სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. მოხსენებები გააკეთეს ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მანამდე (ასამბლეის ჩატარებამდე), თითოეულ ქვეყანაში განიხილეს არსებული მდგომარეობა.

ასამბლეა გახსნა FAO-ს წარმომადგენელმა ატაპერ მეიგამ, რომელმაც სიტყვა გადასცა რუანდის სოფლის მეურნეობის მინისტრს ქალბატონ ჯერალდინ მუკაეშიმას, რომელმაც ძირითადად ილაპარაკა რუანდის სოფლის მეურნეობაზე და ინოვაციურ სისტემებზე. TAP-ის მიერ გატარებული სამუშაოები ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში შეაჯამა TAP-ის თავმჯდომარემ, დოქტორმა კრისტიან ჰოსტემ და FAO-ს წარმომადგენელმა კარინ ნიხტერლეინმა.

ასამბლეის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები: მსოფლიო ბანკი, FAO, CIGIAR, GIFAR, რეგიონალური ცენტრები და სხვა. ძალზედ მნიშვნელოვანი

იყო AGRONATURE-ს მონაწილეობა, რომელიც აერთიანებს ევროპის 31 ქვეყნის 2 ათას მეცნიერს, რომლებიც მუშაობენ კვლევის, განათლების და ტრეინინგის საკითხებზე და აქტიურად არიან ჩართულები რვა ტროპიკული ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებზე.

პროგრამის ბოლოს ჩატარდა მინდვრის დღე, რომელიც მიეძღვნა მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების საკითხებს რუანდაში.

ასამბლეის სხდომებში მონაწილეობა მიიღო CACAARI-ს თავმჯდომარემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც თავისი მონაწილეობა დააფიქსირა გამოსვლებში, სადაც წინა პლანზე წამოწეული იქნა CACAARI-ის რეგიონში არსებული მდგომარეობა და TAP-ის პროგრამაში მონაწილეობის აუცილებლობა. განხილული იქნა საკითხი TAP-ის მიერ დამუშავებული საკითხების CACAARI-ის რეგიონში განსახილველად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე TAP-ის საერთაშორისო ასამბლეაზე.

ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების (TAP) პარტნიორთა ასამბლეის მონაწილეები

ინფორმაცია

2016 წლის 18 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის ეროვნული კოორდინატორის ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: "კვლევა და სწავლება ნიადაგისა და წყლის რესურსების მართვაში". ძირითადი მომხსენებელი გახლდათ პროფ. ვილიბალდ ლოისქანდლი (Dl.Dr. Villibald Loiskland) - ვენის (ავსტრია) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ბუნებრივი რესურსების უნივერსიტეტის (BOKU) წყლის, ატმოსფეროსა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის (WAU) ჰიდრავლიკისა და სოფლის მეურნეობაში წყლის მართვის ინსტიტუტის (IHLW) დირექტორი და დოქტ. მარგარიტა ჰიმელბაუერი (Dr.Margarita Himmelbauer) - ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. ე. შაფაქიძე, აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკად. გ. მარგველაშვილი, ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკად. ო. ქეშელაშვილი, აკად. თ. ყურაშვილი, აკადემიის აპარატის თანამშრომელები; სსმმ აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორი პროფ. ი. ყრუაშვილი და კოორდინატორის ჯგუფის წევრები პროფესორები ე. კუხალაშვილი, დ. გუბელაძე, ზ. ლობჟანიძე, კ. ბზიავა და სხები.

საინტერესო მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა. განხილულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვეს აკადემიკოსებმა გ. ალექსიძემ, გ. მარგველაშვილმა, ე. შაფაქიძემ და აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა, პროფ. ი. ყრუაშვილმა.

აკად. გ. ალექსიძის და პროფ. ვილიბალდ ლოისქანდლის წინადადებით მიზანშეწონილია მომზადდეს თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ვენის (ავსტრია) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ბუნებრივი რესურსების უნივერსიტეტის ჰიდრავლიკისა და სოფლის მეურნეობაში წყლის მართვის ინსტიტუტს შორის, რისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დაევალათ: აკად. ე. შაფაქიძეს, პროფ. ი. ყრუაშვილს და დოქტ. მარგარიტა ჰიმელბაუერს.

მრგვალი მაგიდის მიმდინარეობა

ინფორმაცია

2016 წლის 19 თებერვალს, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნოდარ ტარასაშვილის 85 წლისთავს.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე.

აკადემიის წ/კ ნ. ტარასაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი თენგიზ ურუშაძე. სხვა გამომსვლელებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის აკადემიკოსებმა ზ. ჩანქსელიანმა და რ. ჩაგელიშვილმა.

სიტყვაში გამოსულმა სტუმრებმა ისაუბრეს ბატონი ნოდარის დიდი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. გაიხსენეს მისი არაჩვეულებრივი ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებები და პატივი მიაგეს მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის სოფლის მეურნეობის დარგში სხვადასხვა მიმართულებით 2015 წლის საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომების გამოვლენის შესახებ

მიმდინარე წლის 23 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ შესაბამისი დებულების თანახმად ფარული კენჭისყრით გამოავლინა 2015 წელს სოფლის მეურნეობის დარგში საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით:

აგრონომია – ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის თენგიზ ურუშაძის, დოქტორ ამირან თხელიძის და დოქტორ გიორგი ღამბაშიძის ნაშრომი "საქართველოს ნიადაგები";

მეცხოველეობა, ვეტერინარია და საკვებწარმოება – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გურამ ტყემალაძის ნაშრომი "ბიოქიმიის საფუძვლები";

აგროსაინჟინრო – ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ირაკლი ყრუაშვილის ნაშრომი "ღვარცოფები და მასთან ბრძოლის მეთოდები";

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა და გადამუშავება - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნუგზარ ბაღათურიას ნაშრომი "ენოლოგია – ღვინის წარმოქმნა და დავარგება";

სურსათის უვნებლობა – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ქეთი დადიანის ნაშრომი "გარემოს ქიმიური დამაბინძურებლების რისკის შეფასება";

ეკონომიკა - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნოდარ ჭითანავას ნაშრომი "საქართველოს სოფლის მეურნეობა – ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები."

აკადემიური საბჭო გულითადად ულოცავს წარმატებას გამარჯვებული ნაშრომების ავტორებს და უსურვებს მომავალში ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო საქმიანობას.

თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ტელეკომპანია "საფერავს" შორის

მიმდინარე წლის 23 თებერვალს აკადემიური საბჭოს სხდომაზე ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ტელეკომპანია "საფერავს" შორის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანამშრომლობა დიდი ხანია დაწყებულია და ერთობლივად უკვე გაკეთდა მთელი რიგი გადაცემები, რომლებიც შეეხება საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აქტუალურ პრობლემებს. სამომავლოდ დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებების და პრობლემატური თემების ერთობლივად გაშუქება. მემორანდუმს ხელი მოაწერეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკდემიის მხრიდან, აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, ხოლო ტელეკომპანია "საფერავის" მხრიდან, დირექტორმა დიმიტრი კოსტარიოვმა.

ინფორმაცია

მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობის შესახებ

2016 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მასპინძლობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებს - აკადემიის პრეზიდენტს, აკად. გ. ალექსიძეს, ვიცე-პრეზიდენტს, აკად. გ. ჯაფარიძეს, სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნებს - აკადემიკოსებს გ. მარგველაშვილს, რ. მახარობლიძეს, ზ. ცქიტიშვილს, ჯ. გუგუშვილს, ო. ქეშელაშვილს, აკად. რ. ჩაგელიშვილს, აკად. თ. ყურაშვილს, პრეზიდენტის მოადგილეს, დოქტ. ა. გიორგაძეს და პრეზიდენტის თანაშემწეს თ. ეპიტაშვილს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ - მინისტრი ო. დანელია, მინისტრის მოადგილეები ი. ნოზაძე, ლ. დავითაშვილი, გ. ცოფურაშვილი და დ. გალეგაშვილი, მინისტრის მრჩევლები და სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები.

შეხვედრის მიზანი იყო თანაშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის.

მემორანდუმის გაფორმების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო უზრუნველყოფა მჭიდრო და შემოქმედებითი თანამშრომლობისა სამინისტროს დეპარტამენტებს, საქვეუწყებო დაწესებულებებსა და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებს შორის, რაც ხელს შეუწყობს წარმოებისა და მეცნიერების წინაშე მდგომი ამოცანების ერთობლივად გადაწყვეტას. მემორანდუმის მიხედვით ორივე უწყება მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემუშავებაში, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში, აგრარული პოლიტიკითა და სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმების შედგენაში, დარგობრივი განვითარების პროგრამების შედგენისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებაში, რეგიონების სამეურნეო-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით მაღალი ტექნოლოგიების გავრცელების შესაძლებლობების დადგენაში და ა.შ.

თანამშრომლობის სფეროები და ფორმებია: რეკომენდაციების მომზადება დეგრადირებული მიწების აღდგენისა და კონსოლიდაციის შესახებ; წინადადებების მომზადება - მასობრივი მწარმოებლების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების სხვა სფეროების ოპტიმიზაციის შესახებ, ინტეგრირებული მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბების შესახებ, კოოპერატივების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების შესახებ; დარგობრივი პროგრამების შედგენასა და განხილვაში ერთობლივი მონაწილეობა, ხელშეკრულების გაფორმება სამინისტროსა და აკადემიას შორის აკადემიის ბაზაზე ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ, სამინისტროსა და აკადემიის წლიური სამუშაო გეგმების ურთიერთგაცვლა, აკადემიის მიერ მომზადებული და რეცენზირებული აგროწესების, რეკომენდაციების და სხვა სასწავლო და სახელმძღვანელო ლიტერატურის გამოცემა, სამინისტროსა და აკადემიის ვებგვერდზე ერთობლივი ღონისძიებების შესახებ მასალების გაცვლა.

მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერიდან ხუთი წლის განმავლობაში და მისი გაგრძელება შესაძლებელია ორივე მხარის მიერ თანხმობის შემთხვევაში.

მხარეების მიერ მემორანდუმის ძირითადი დებულებების გაცნობის შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს წარმომადგენლებმა და აკადემიის მეცნიერებმა.

მემორანდუმზე ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ.

სამთავრობო უწყებასა და მეცნიერებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებამ მკაფიოდ გამოხატა საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნება, რათა მეცნიერებამ დადებითი და წამყვანი როლი შეასრულოს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ინფორმაცია

შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

2016 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტში გაიმართა სამეცნიერო ჟურნალის "ქართული პოლიტიკა" პრეზენტაცია. აღნიშნული ჟურნალის დამფუძნებელია ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის სადოქტორო სკოლა; ჟურნალის რედაქტორია აკად. როინ მეტრეველი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები გ. სამხარაული და ზ. ტყემალაძე, ფრაქციის თავმჯდომარე გ. თოფაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. დანელია, მინისტრის მოადგილე ი. ნოზაძე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ლ. უჯმაჯურიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. კვესიტაძე, ვიცე-პრეზიდენტი აკად. რ. მეტრეველი, აკადემიკოს-მდივანი, აკად. ო. ნათიშვილი, აკად. ა. ფარნგიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად გ. ალექსიძემ, აკადემიის ნამდვილმა წევრებმა და წევრ-კორესპონდენტებმა, პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტ. ა. გიორგაძემ.

პრეზენტაციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აკად. რ. მეტრეველი, გ. სამხარაული, ო. დანელია, აკად. გ. ალექსიძე.

თავის მოხსენებაში აკად. გ. ალექსიძე შეეხო აგრარული დარგის მეცნიერების განვითარების დღევანდელ მდგომარეობას, პრობლემებს, იმ წარმატებებს, რომელიც აქვთ ამ მიმართულებით დასაქმებულ მეცნიერებს და მათ სამომავლო პერსპექტივებს. მან აღნიშნა აკადემიის როლის მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობის განვითარების ყველა საფეხურზე, იმ გამოწვევებთან ბრძოლის საკითხებზე, როგორიცაა მსოფლიო გლობალური დათბობა და ამ მიმართულებით სოფლის მეურნეობის მართვის პერსპექტივები, მეცნიერების როლზე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების საქმეში. მომხსენებელმა აგრეთვე

აღნიშნა ის სასიკეთო სიახლეები, რომელიც მეაბრეშუმეობის აღდგენას და განვითარებას ეხება, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიან და მჭიდრო კავშირებს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

აკად. გ. ალექსიძემ აღნიშნა აგრეთვე, რომ ჟურნალ "ქართული პოლიტიკის" პირველ ნომერში წარმოდგენილია აკადემიის ათი წევრის მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო სტატიები.

პრეზენტაციის დასასრულს საქართველოს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სამხარაულმა "აგრარულ მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" საპატიო სიგელებით დააჯილდოვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. კვესიტაძე, აკადემიის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკად. ო. ნათიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკად. ა. ფრანგიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს გამოჩენილ მეცნიერებს "აგრარულ მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" საპატიო სიგელით დაჯილდოვებას.

ინფორმაცია
სტუმრად ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

2016 წლის 22 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკად. ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე და პრეზიდენტის თანაშემწე თ. ეპიტაშვილი იმყოფებოდნენ ქ. ქუთაისში, ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეხვედრის მიზანი იყო აკადემიასა და უნივერსიტეტს შორის 2013 წელს გაფორმებული მემორანდუმის ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებაში მეცნიერული პოტენციალის გამოყენების არსებული მდგომარეობა.

უნივერსიტეტის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს - რექტორმა, პროფ. გ. ღავთაძემ, აგრარულ მიმართულებაში რექტორის მოადგილემ, პროფ. რ. კოპალიანმა, უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებმა, პედაგოგებმა და მეცნიერებმა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. გ. ღავთაძემ, რომელმაც აღნიშნა აკადემიისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ, მეცნიერების აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და თავის მხრივ აგრარული ფაკულტეტის მონაწილეობა აკადემიის საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, მრგვალ მაგიდებში და ა.შ.

შეხვედრაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკადემიის სამეცნიერო საქმიანობა და მისი საერთაშორისო ურთიერთობები, ინფორმაციები გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ პოლონეთის, ჩეხეთის, უკრაინის, ბელარუსიის, სამხრეთ კორეის, ჩინეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან, ქვეყნის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და სხვა. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა აკადემიის საგამომცემლო საქმიანობა და ფერმერების დახმარების პროგრამები. გაკეთდა ინფორმაცია უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის პუნქტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს პროფ. რ. კოპალიანმა, აგრარული ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ქ. კინწურაშვილმა, აგრარული მეცნიერების დეპარტამენტის უფროსმა, პროფ. რ. ლორთქიფანიძემ და სხვა.

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს ამ ტიპის შეხვედრების დიდი მნიშვნელობა და მიიღეს ცნობად, რომ მომდევნო შეხვედრაზე, აპრილის თვეში, რექტორის მოადგილე, პროფ. რ. კოპალიანი წარდგება აკადემიის აკადემიური საბჭოს წინაშე აგრარული ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშით.

მარცხნიდან: სრ. პროფ. ქ. კინწურაშვილი, სრ.პროფ. რ. კოპალიანი, რექტორი- სრ.პროფ. გ. ღავთაძე, აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, აკად. ე. შაფაქიძე, დოქტ. ა. გიორგაძე.

ახალი წევრები აკადემიის აკადემიურ საბჭოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიმდინარე წლის 25 მარტს აირჩია ახალი წევრები: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აკადემიური საბჭო გულითადად ულოცავს ახალ წევრებს და უსურვებს ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 17 საკითხი. მათ შორის აკადემიის 2016 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმისა და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. **მომხსენებლები: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.** ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი იუზა ვასაძე.** ვენახის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი. აკადემიის 2015 წლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში და 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ;** მომხსენებელი: აკადემიის მთავარი ბუღალტერი ნინო სოზიაშვილი. **საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში 2015 წელს აგრარულ დარგში საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენის შესახებ.** მომხსენებელი: საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი. აკადემიის მიერ 2015 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის სტრუქტურაში გამომცემლობა "აგროს" შექმნის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიერ 2015 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგებისა და 2016 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნები, აკადემიის ეროვნული კოორდინატორები.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე*

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი*

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.